პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 აპრილი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 75 (9994) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი 1989 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

2. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3. დაე, ცოცხლობდეს და ვითარდებოდეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება — სოციალიზმის რევოლუციური განახლების იდეური საფუძველი!

4. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — გარდაქმნის ინიციატორსა და გარანტს!

5. კომუნისტებო! კონკრეტული საქმეებით შეასხით ხორცი XIX საკავშირო პარტკონფერენციის ნოვატორულ იდეებს!

6. გაუმარჯოს საბჭოებს — ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ორგანოებს!

7. დაე, მტკიცდებოდეს და ყვაოდეს ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

8. სსრ კავშირის ხალხებო! დაიცავით და განავითარეთ სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ტრადიციები!

საკადრისი პასუხი გაეცით ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლინებებს!

9. გაუმარჯოს მუშათა კლასს — ჩვენი საზოგადოების წამყვან ძალას!

10. სოფლის მშრომელებო! განახორციელეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი! სოციალისტური საკუთრების მრავალფეროვანი ფორმებისა და მეურნეობრიობის სახეობების საფუძველზე აუმჯობესეთ ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა!

11. საბჭოთა მეცნიერებო, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! ზარდეთ გარდაქმნის ინტელექტუალური პოტენციალი! დაიცავით და ამრავლეთ სოციალიზმის სულიერი ღირებულებანი!

12. საბჭოთა ქალებო! დღენიადაგ იზრუნეთ ოჯახის კეთილდღეობისათვის და აქტიური მონაწილეობა მიიღეთ შრომასა და საზოგადოებრივ საქმეებში, მშვიდობისათვის ბრძოლაში!

13. კომკავშირელებო, ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის ჩვევებს! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ გარდაქმნაში!

14. საბჭოთა პროფკავშირებო! იბრძოლეთ შრომის მაღალი ორგანიზაციისათვის, ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის! დაამკვიდრეთ სოციალისტური სამართლიანობა, დაიცავით მშრომელთა კანონიერი უფლებები!

15. მხურვალე სალამი პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებს!

16. სსრ კავშირის მოქალაქენო! განავითარეთ საზოგადოებრივი ინიციატივა და აქტიურობა გარდაქმნაში ხალხისა და სოციალიზმის განახლების ინტერესებისათვის!

17. საბჭოთა მეომრებო! განამტკიცეთ საბრძოლო ორგანიზებულობა და დისციპლინა! იყავით არმიასა და ფლოტში გარდაქმნის აქტიური მონაწილენი, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო დამცველები!

18. საპირველმაისო სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, საზღვარგარეთის ქვეყნების მთელ დემოკრატიულ ძალებს!

19. დაე, მტკიცდებოდეს სოციალისტური სახელმწიფოების ხალხთა თანამეგობრობა!

20. მხურვალე სალამი მშრომელ ადამიანთა ინტერესებისათვის, ექსპლოატაციის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მამაც მებრძოლებს!

21. ევროპის ხალხებო! შევქმნათ ჩვენს კონტინენტზე უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთო სახლი!

22. პლანეტის ხალხებო! იბრძოლეთ უბირთვო და უძალადო მსოფლიოსათვის! ახალი პოლიტიკური აზროვნების საფუძველზე გავაერთიანოთ ძალები გლობალური, ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაჭრისათვის!

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**16 აპრილს** გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა.

აღინიშნა, რომ ვითარება თბილისში და მთლიანად რესპუბლიკაში თანდათანობით ნორმალური ხდება. ამაში უდიდეს როლს ასრულებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიმართვა საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მასალები, მასზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის გამოსვლა, აგრეთვე სერიოზული მუშაობა, რომელსაც პარტიული და საბჭოთა აქტივი ეწევა სამრეწველო საწარმოების შრომითს კოლექტივებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სასწავლებლებში, ახალგაზრდებს შორის.

ქარხნებსა და ფაბრიკებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში იმართება პარტიული კრებები, შეხვედრები პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებთან. მშრომელები იწონებენ მდგომარეობის სტაბილიზაციის ღონისძიებებს, სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ მკაცრად აგებინონ პასუხი ექსტრემისტებს, დეზინფორმატორებს, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს.

თბილისის ათობით საწარმოს მშრომელები მუშაობდნენ კვირას, რათა აღმოფხვრან ჩამორჩენა სახალხო-სამეურნეო გეგმების რეალიზაციაში. რესპუბლიკის სოფლის რაიონებში ყველგან ზუსტად გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, საფუძველს უყრიან მომავალ მოსავალს. საჭიროა უზრუნველვყოთ სასურსათო კონვეიერის ზუსტი რიტმი, ქალაქის მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება მინდვრებისა და ფერმების პროდუქციით.

სულ უფრო ფართოდ მონაწილეობს საზოგადოებრიობა იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია ჯეროვანი წესრიგის დამყარება რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში. სამართალდაცვითს ორგანოებთან საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აქტიური თანამშრომლობის წყალობით თბილისში თანდათანობით მყარდება მშვიდი ვითარება, ხდება პოზიტიური ძვრები ადამიანთა გუნებაგანწყობილებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გააქტიურდეს დიფერენცირებული ახსნა-განმარტებითი, ორგანიზატორული მუშაობა შრომითს კოლექტივებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებში, მოსახლეობის ხალხმრავალ ადგილას, რომ ამ მუშაობაში ჩაებას [illegible] პარტიული, საბჭოთა და იდეოლოგიური აქტივი, მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა შესაძლებლობანი. საჭიროა კვლავინდებურად მოსახლეობაში გავრცელებულ პროვოკაციულ ხმებს, მონაჭორებს დავუპირისპიროთ ზუსტი, ალალმართალი, ოპერატიული ინფორმაცია.

ქალაქის კომუნალურმა სამსახურებმა მნიშვნელოვნად უნდა გააძლიერონ მუშაობა ჯეროვანი წესრიგის და სისუფთავის დამყარებისათვის, თბილისის ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობისათვის. ამ სამუშაოებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალაქის შრომითმა კოლექტივებმა, საზოგადოებამ და მოსახლეობამ.

დღეს ყველას და თითოეულის მოქალაქეობრივი ვალია გამონახოს თავისი ადგილი, შეიტანოს პირადი წვლილი რესპუბლიკაში ვითარების სრული ნორმალიზაციისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი.

# პასუხისმგებლობით მომავლის წინაშე

**ამ** შეხვედრას ელოდნენ და იგი გაიმართა. დიალოგები, რომლებიც თან სდევდა ყოველ ასეთ შეხვედრას, რა საბაბითაც უნდა გამართულიყო, წინათაც ყოველთვის უაღრესად ცხოველ ინტერესს იწვევდა. მაგრამ ამჯერად, ცხრა აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის სათავეებისა და მიზეზების ობიექტური გარკვევის აუცილებლობით, ერთმანეთის მოსმენის, გაგების, კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის რეალური გზების დასახვის მწვავე საჭიროებით ნაკარნახევ ასეთ შეხვედრას არავინ დაუტოვებია გულგრილი არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არამედ მთელ ქალაქში, რესპუბლიკაში. ამ დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე შეხვდნენ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრებს, რომელთა შორის სტუდენტობის წარმომადგენლებიც იყვნენ.

ბუნებრივია, სანამ დიალოგს დაიწყებდნენ, შეკრებილებმა ფეხზე ადგომით პატივი მიაგეს აპრილის იმ ღამით დაღუპულთა ხსოვნას.

გახსნა რა შეხვედრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ნოდარ ამაღლობელმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა როლს ასრულებს უნივერსიტეტი მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციაში დედაქალაქსა და მთლიანად რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაციისათვის.

თავიანთი დამოკიდებულება მომხდარისადმი, თავიანთი თვალსაზრისი, თავიანთი შეფასებები შეხვედრაზე გამოთქვეს უნივერსიტეტის პრორექტორმა ვახტანგ გოგუაძემ, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა კორნელი დანელიამ, პროფესორმა გივი ინწკირველმა, პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვლადიმერ ჭავჭანიძემ, პროფესორმა ნათელა ქუთელიამ, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა მერაბ ბერძენიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა აკაკი სურგულაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თეიმურაზ კოპალეიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნიკო ჭავჭავაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ირმა რატიანმა, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გოგი დობორჯგინიძემ, დოცენტმა პარმენ მარგველაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის თანამშრომელმა გელა დოლიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შოთა ნადირაშვილმა, პროფესორმა ციალა სვანიძემ, პროფესორმა ბორის ლომსაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა დავით ტურაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მარიამ ლორთქიფანიძემ და სხვებმა.

შეხვედრაზე გამოვიდა ე. ა. შევარდნაძე.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიმართვა თბილისის მოქალაქეებს

**ძვირფასო თბილისელებო!**

9 აპრილს მომხდარი ტრაგედია სამუდამოდ დატოვებს ხალხის ხსოვნაში თავის მწარე კვალს.

მაგრამ ხსოვნა, როგორც იტყვიან, გონებით ამოწმებს გრძნობებს.

ეს ხსოვნა პასუხისმგებლობას მოგვიწოდებს.

განუზომლად დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა ხვალინდელი დღის წინაშე. ჩვენ დარწმუნებული ვართ: თბილისელებს ესმით ეს. ვითარება ქალაქში ნორმალური ხდება, თანდათან დგება ჩვეულებრივ კალაპოტში საზოგადოებრივი და შრომითი ცხოვრება. ამას ხელს უწყობს საყოველთაო მისწრაფება, რაც შეიძლება სწრაფად აღდგეს წესრიგი. მშრომელებმა, ახალგაზრდობამ, მთელმა საზოგადოებრიობამ დაუჭირა მხარი შრომითი კოლექტივების მოწოდებას ყველა თანამოქალაქისადმი მოვაწესრიგოთ ცხოველქმედების უკლებლივ ყველა სფეროს ნორმალური ფუნქციონირება, არ ავყვეთ პროვოკაციებს, საკადრისი პასუხი გავცეთ წამქეზებლებს.

ასეთია რესპუბლიკის დედაქალაქის მოქალაქეთა უმრავლესობის ნება.

საზოგადოებრიობა ერთიანია იმაშიც, რომ შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში გაუქმდეს კომენდანტის საათი.

მხედველობაში მიიღო რა ის, რომ ამჟამად ყველა შრომითი კოლექტივი რიტმულად მუშაობს, მეცადინეობა მიმდინარეობს ყველა სასწავლებელში, ხოლო ქალაქში არ ყოფილა საზოგადოებრივი წესრივის არც ერთი სერიოზული დარღვევა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რეკომენდაცია მისცა გადაწყვიტოს კომენდანტის საათის გაუქმების საკითხი.

ახლა ხვალინდელი დღის ბედი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენს დარაზმულობაზე, დისციპლინირებულობაზე, პასუხისმგებლობაზე.

მაშ მოდით, გამოვიჩინოთ სიბრძნე და კეთილგონიერება, დავამტკიცოთ, რომ უფლება გვაქვს და, მეტიც, მოვალენი ვართ უზრუნველვყოთ წესრიგი საკუთარ სახლში.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო**

1989 წლის 17 აპრილი.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით ქალაქ თბილისში შემოღებული კომენდანტის საათი გაუქმებულია 1989 წლის 18 აპრილის 5 საათიდან.**

# აღვადგინოთ ნორმალური რიტმი

**რესპუბლიკის მრავალი საწარმოს შრომითმა კოლექტივებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად 15 აპრილი სამუშაო დღედ გამოაცხადა, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ანაზღაურდეს შრომითი დანაკარგები, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.**

**დღე,** რომელმაც თბილისის საწარმოო გაერთიანება „ავიაშენებელში" ჩაიარა, არ ჰგავდა შაბათს. აქ, ისევე როგორც ჩვეულებრივ დღეებში, მოვიდნენ მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. — სახელმწიფო გეგმა კანონია, — ამბობენ ისინი, — და იგი უნდა შევასრულოთ. ცალკეულმა პროვოკატორებმა სცადეს ჩაეშალათ სამუშაოთა გრაფიკი, მაგრამ ჩვენ მათ სათანადო პასუხი გავეცით.

სამუშაოზე გამოვიდა ყველა, რა თქმა უნდა, იმათ გარდა, ვინც ბიულეტენზე ან მივლინებაშია, და ყველანი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მუშაობდნენ.

აი, რას ამბობს მემონტაჟე ზეინკალი შოთა ლოხიშვილი:

— ჩვენი მოვალეობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად შევასრულეთ. როგორც ნათქვამია მიმართვაში, დავაცხროთ ემოციები და მოვუხმოთ გონიერებას, გავერკვეთ იმაშიც, როგორ განვითარდა მოვლენები, რომლებსაც შემაძრწუნებელი დასასრული მოჰყვა. მაგრამ ამავე დროს ყველა რთული საკითხი უნდა გადავწყვიტოთ ერთად, გულახდილად და საჯაროდ.

მას მხარი დაუჭირა თანამოსაქმემ ანდრო ტაბატაძემ:

— კარგად თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ე. ა. შევარდნაძემ, რომ გარდაქმნა — ეს არის რევოლუცია. სწორედ რევოლუციურ ეპოქაში ვცხოვრობთ ჩვენ და ვერავითარმა ძალებმა, ვერც გარეშე, ვერც შინაურმა, ვერ უნდა შეარყიოს ჩვენი რწმენა. გადამწყვეტი სიტყვა აქ ეკუთვნის მუშათა კლასს და ჩვენ იმედს არ გავუცრუებთ.

1600 კაცი — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" მთელი მუშათა პერსონალის 70 პროცენტი გამოვიდა შაბათობაზე. მათ იმუშავეს სრული სამუშაო დღე. არ შეიმჩნეოდა შრომის, საწარმოო დისციპლინის არავითარი დარღვევა. დაამზადეს 80 ათასი მანეთის პროდუქცია. ეს არის პროგრამული მართვის სერიული ჩარხები, რომლებიც ასე სჭირდება მრეწველობის სხვადასხვა დარგს. როგორც საწარმოს წამყვანმა ტექნოლოგმა ლევ ვლასოვმა თქვა, მთელი კოლექტივი ცდილობს არა მარტო აანაზღაუროს დანაკლისი, არამედ მიაღწიოს ახალ მიჯნებსაც წლიური გეგმის შესრულების გზაზე.

**ჩვეული** საწარმოო რიტმით ჩაიარა შაბათობამ თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანება „გლდანში". დაზგებთან და აგრეგატებთან ორ ცვლად შრომობდა ათასამდე კაცი, პრაქტიკულად მთელი კოლექტივი. მუშაობდნენ შეთანხმებულად, ზუსტად. იმისათვის, რომ აანაზღაურონ საგეგმო დავალებათა შესრულებაში წარმოშობილი გარღვევა, უნდა გამოუშვან თითქმის 300 ათასი მანეთის პროდუქცია. ჰოდა, გლდანელებმაც გადაწყვიტეს იმუშაონ ამისათვის, შაბათსა და კვირას.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი, ახალგაზრდობისადმი მოგვიწოდებს აღვადგინოთ რესპუბლიკის საზოგადოებრივი, შრომითი ცხოვრების ნორმალური რიტმი, და ამით უზრუნველვყოთ სიმშვიდე და მართლწესრიგი, — ამბობს გამომჭრელთა ბრიგადირი ასმათ ქოქრაშვილი. — ჩვენ, მუშა ქალები, მოვალენი ვართ მაგალითი ვუჩვენოთ ახალგაზრდობას. ჩვენ შეგვიძლია მოვსპოთ რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილი დაძაბულობა, დავუბრუნოთ ჩვენს ქალაქს ჩვეული სახე.

მის აზრს მხარი დაუჭირეს მკერავთა ბრიგადირმა ნელი ბლუიშვილმა, მკერავმა ნარგიზა ლაბაძემ, მრავალმა სხვამ.

**გლდანის რაიონი.** ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების, საზეინკლო სამონტაჟო ინსტრუმენტების და სილიკატურ-საკედლე მასალების ქარხნების, აგრეთვე რაიონის 12 სხვა სამრეწველო საწარმოს მშრომელები დილიდანვე იყვნენ სამუშაო ადგილებზე. მათ საკუთარი ინიციატივით უარი თქვეს დასვენებაზე შაბათს, რადგან თავიანთ მოვალეობად მიიჩნიეს აანაზღაურონ ამ დღეებში დაშვებული დანაკლისი.

— უწინარეს ყოვლისა, გვადარდებდა სატრანსპორტო ორგანიზაციები, — ამბობს პარტიის რაიკომის მდივანი ნოდარ გობიანიძე, — ხომ საიდუმლო არ არის, რომ მძღოლებს გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნიდნენ. პარტიული მუშაკები იყვნენ სატრანსპორტო საწარმოებში, ესაუბრნენ შრომითი კოლექტივის წევრებს, ერთად ეძებდნენ სიტუაციის სტაბილიზაციის გზებს და ვითარებაც შეიცვალა სასიკეთოდ. კიდევ უფრო მეტი რწმენა შემატა მუშებსა და მოსამსახურეებს ინფორმაციამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. უნდა შევნიშნო, არ მახსოვს, ასეთი ინტერესი გამოეჩინოთ პრესისადმი, როგორც ამ ბოლო დღეებში. დღეს დილიდან დაიწყო რესპუბლიკის კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი, ახალგაზრდობისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის განხილვა. საერთო აზრი ასეთია — საღად უნდა შევაფასოთ მომხდარი და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები, რათა იგი აღარასოდეს განმეორდეს.

**ორჯონიკიძის რაიონი.** პარტიის რაიონული კომიტეტის აპარატი თითქმის მთელი შემადგენლობით არ იყო ადგილზე შუადღისას. საამისოდ ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზი ჰქონდათ — ხალხი წავიდა, რათა უკანასკნელი პატივი მიეგო 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის დროს დაღუპულთათვის.

მაგრამ საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი გია აიდარაშვილი ყველა საქმის კურსში იყო:

— დღეს მუშაობს ჩვენი შვიდი სამრეწველო საწარმო. გარდა ამისა, როგორც ჩვეულებრივ, ღიაა ვაჭრობის ობიექტები, ხოლო სატრანსპორტო მარშრუტებზე იმყოფება 86 ავტობუსი, 45 ტროლეიბუსი, 410 მსუბუქი ტაქსი. მართალია, სკოლებში მეცადინეობაზე გამოცხადდა მოსწავლეთა მხოლოდ მესამედი, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ორშაბათიდან სასწავლო პროცესი ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. სხვათა შორის, ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს პედაგოგიურ და უცხო ენათა ინსტიტუტებშიც. ჩვენ მუდმივი კავშირი გვაქვს მოსწავლეებთან, მუშებთან და მოსამსახურეებთან, ვიცით მათი აზრები და იმედები, და ეჭვი არ გვეპარება, რომ ბევრს ჩააფიქრებს ის, თუ როგორ იცხოვრონ ამიერიდან. დღევანდელ გაზეთებში გამოქვეყნებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მოგვიწოდებს ყოველგვარი რთული ამოცანები გადავჭრათ მხოლოდ საღ, მშვიდ ვითარებაში.

**26 კომისრის სახელობის რაიონი:** აქ შაბათს ფუნქციონირებდა პრაქტიკულად ყველა სამრეწველო საწარმო. მოსწავლეთა 84 პროცენტი მოვიდა გაკვეთილებზე სკოლებში. რაც შეეხება ტრანსპორტს, ხაზზე მეტიც კი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ. რაიონში სიმშვიდეს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თავისებური მუშათა პატრულების შექმნამ. მშრომელთა ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს პარტიის რაიკომმა და კომენდატურამ, რომლებმაც გადაწყვიტეს ზოგიერთ „ცხელ" წერტილში გაგზავნონ არა სამხედროები, არამედ სწორედ მუშები და მათ გაამართლეს ნდობა — თავიანთი გულწრფელი მუშური სიტყვით აცხრობდნენ ვნებათაღელვას.

— ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჩვენ ყველაზე ცხოვლად გამოვეხმაურეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის იმ ნაწილს, — ამბობს რაიკომის მდივანი გენრიხ მურადიანი, — სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა საკუთარი ძალებით აღვადგინოთ დედაქალაქის ცხოვრების ნორმალური რიტმი. ეს სავსებით შეესაბამება რაიონის მშრომელთა საერთო განწყობილებას. მათი უმრავლესობა დარწმუნებულია: ყოველგვარ პრობლემას აქვს გადაჭრის კონსტიტუციური გზა. მაგრამ ისინი არ მალავენ სხვა რამესაც — 9 აპრილს ჩადენილის მსგავსი მოქმედება ზიანს აყენებს გარდაქმნის პოლიტიკას. ამიტომ თითოეული მოვალეა გამოიტანოს გაკვეთილები მომხდარიდან.

**პირველი მაისის რაიონი.** სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის", მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს", სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის — სულ თერთმეტი სამრეწველო საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტეს შაბათი სამუშაო დღედ ექციათ.

— ვითარება საშიში არ არის, — ასე მიაჩნია პარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველ მდივანს ნიკოლოზ ლეკიშვილს, — არავითარი ექსცესები რაიონში არ შეიმჩნევა. როცა დღეს წავიკითხეთ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, ბოლომდე განგვიმტკიცდა აზრი, რომ მხოლოდ მომხდარის საღი გააზრება, სიმშვიდე და სრული შრომითი უკუგება მოგვცემს საშუალებას გამოვრიცხოთ საგანგებო ღონისძიებების აუცილებლობა.

# ბრიფინგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**15 აპრილს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი ბრიფინგი პრესცენტრში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის ცენტრალური და რესპუბლიკური ორგანოების ჟურნალისტებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისათვის, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. ფოფხაძე. კითხვებს უპასუხა თბილისის სამხედრო კომენდანტის მოადგილემ, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველმა მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა ი. კ. კუზნეცოვმა.

შეეხო რა 9 აპრილის მოვლენების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალების მხარდასაჭერად გამოყვანილ სამხედრო მოსამსახურეთა მოქმედებას, ი. კ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯარებს ამოცანად დაუსახეს შინაგანი ჯარებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფების მიერ მოედნის განთავისუფლების შემდეგ დაეცვათ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ობიექტები. გენერალ-ლეიტენანტმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ჯარის ქვეგანაყოფებს არ შეეძლოთ გამოეყენებინათ არავითარი ქიმიური საშუალება, რადგან ისინი არ შედის საბჭოთა არმიის შეიარაღებაში. არსებულ საშტატო სატაბელო საშუალებათა რიცხვში. მან უარყო ქალაქში გავრცელებული ზოგიერთი ჭორი, ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა დაველოდოთ მთავრობის სპეციალური კომისიის საბოლოო დასკვნებს.

რაც შეეხება კომენდანტის საათის რეჟიმის შემოღებისა და განხორციელების წესს, თბილისის სამხედრო კომენდანტის მოადგილემ განაცხადა, რომ სამხედრო მოსამსახურენი მოქმედებდნენ და მოქმედებენ ბრძანებისა და სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად. პოლიტორგანოები ეწევიან მუდმივ ახსნა-განმარტებით და აღმზრდელობით მუშაობას პირად შემადგენლობას შორის. პატრულთა მიერ უფლებამოსილებათა გადამეტების ყოველ ფაქტს გულდასმით იძიებენ, ბრალეულებს აკისრებენ პასუხისმგებლობას. დაასახელეს კონკრეტული ფაქტები.

ი. კ. კუზნეცოვმა ჟურნალისტთა ყურადღება მიაპყრო იმის საჭიროებას, რომ დაეხმარონ პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების, ჯარებისა და საზოგადოებრიობის ურთიერთობის გაძლიერებაში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სიმშვიდის აღდგენას და კომენდანტის საათის უსწრაფეს გაუქმებას. ამ თვალსაზრისით მაღალი შეფასება მისცეს ყოფილი მეომრების — „ავღანელების" ინიციატივას, რომლებიც სამხედრო კომენდატურასთან კონტაქტით მოქმედებენ.

ბრიფინგს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების სექტორის გამგე ვ. ნ. ბაკლანოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ს. ბუიანოვი.

# იუწყება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

**16 აპრილის** დილის 10 საათის მონაცემებით, თბილისის საავადმყოფოებში იმყოფება ტრაგიკული ამბების შედეგად დაშავებული 121 კაცი. მათ შორის 51 ქალია და 10 არასრულწლოვანი. ექვსი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერჯერობით კვლავ სერიოზულია, დანარჩენებს არსებითი გაუმჯობესება დაეტყოთ.

როგორც ცნობილია, მიმდინარეობს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ინტენსიური ძიება. 16 აპრილისათვის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში 14 კაცის ნათესავებისა და ახლობლების შესაბამისი განცხადებაა. ეს ძირითადად ახალგაზრდობაა, რომელთა შორის არიან როგორც თბილისელები, ისე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულნიც.

კვლავ მოდიან ავადმყოფები, რომლებსაც ინტოქსიკაციის ნიშნები აქვთ. ყოველი ახალი შემთხვევა ექსპერტ ექიმთა ყურადღების ობიექტი ხდება. ეწყობა შესაბამისი ლაბორატორიული გამოკვლევები, მუშავდება წინათ მიღებული მონაცემებიც, რაც ხელს შეუწყობს 9 აპრილს ღამით მომხდარი რეალური სურათის გამოვლენასა და გაანალიზებას.

• • •

**კითხვაზე — გამოიყენეს თუ არა ჯარის ნაწილებმა მომწამლავი საშუალებები,** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ი. მენაღარიშვილმა „კომუნისტის" კორესპონდენტს უთხრა:

— მოწამვლის სიმპტომები იმავე დღეს იყო ფიქსირებული. მოწამვლა დაადასტურეს ჩვენმა ტოქსიკოლოგებმაც და საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან გამოძახებულმა სპეციალისტებმაც.

ამ აზრისაა, აგრეთვე, მოწამლვათა საკავშირო ცენტრის ხელმძღვანელი ამხანაგი ლუჟნიკოვი, რომელიც ორი დღის განმავლობაში ეცნობოდა ავადმყოფებს, მათ ისტორიებს. მან აღნიშნა, რომ საქმე გვაქვს ორი ტიპის მოწამლვასთან. ერთი არის გამაღიზიანებელი, ცრემლმდენი, ხოლო მეორეს, სამედიცინო ენაზე, ატროპინის ეფექტის გამომწვევი მოწამლვა ჰქვია.

**— იქნებ გვითხრათ, მაინც რა ნივთიერება გამოიყენეს?**

— კონკრეტული ნივთიერება იმან უნდა დაასახელოს, ვინც გამოიყენა... ჩვენ ავადმყოფებს ვმკურნალობთ სპეციალისტების მიერ რეკომენდებული სქემით. და იმედს არ ვკარგავთ... თუმც, აი, ახლახან დამირეკეს, რომ ერთი ავადმყოფი ძალზე მძიმე მდგომარეობაშია...

სპეციალისტთა დასკვნები საექსპერტო სახელმწიფო კომისიას გადავეცით და, როგორც კი დასრულდება ყველა დაშავებულის ექსპერტიზა, მასალები გადაეცემა საგამომძიებო ორგანოებს.

# სწავლა განახლდა

**გუშინ „ლელოს" კორესპონდენტი დაუკავშირდა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ტექნიკუმის ხელმძღვანელებს.**

**რ. კერესელიძე** — ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში:

— დღეს, ორშაბათს, ჩვენს ინსტიტუტში ჩვეულებრივად დაიწყო სასწავლო დღე. მეცადინეობები ჯანახლდა ფაქტიურად ყველა ჯგუფში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შეჯიბრებებზე და შეკრებებზე მყოფ სტუდენტ-სპორტსმენებს, სტუდენტთა კონტიგენტი თითქმის მთლიანად შეუდგა სწავლას. სამუშაოზე სრულად გამოცხადდა პედაგოგიური კოლექტივი, რომლებიც ამავე დროს ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწევიან სტუდენტებში.

ერთი სიტყვით, ჩვენი ინსტიტუტი უკვე ნორმალური ცხოვრებით შეუდგა მუშაობას.

**ედიშერ მაჩაიძე** — ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორი:

— გარდა იმ მოსწავლეებისა, რომლებიც ამ დღეებში რესპუბლიკის გარეთ იმყოფებიან სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, ტექნიკუმში მეცადინეობებზე თითქმის ყველა გამოცხადდა. სწავლა ჩვეულებრივად განახლდა, ტექნიკუმის მთელ კოლექტივს, როგორც აღსაზრდელებს, ისე აღმზრდელებს, კარგად აქვთ შეგნებული ის მძიმე სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში და ყველაფერს ვაკეთებთ მდგომარეობის სრული ნორმალიზაციისათვის.

# ვმუშაობთ ჩვეულებრივი რიტმით

**გვესაუბრება სპორტსაზოგადოება „დინამოს" სპორტული ნაწარმის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი მურთაზ მიქაუტაძე:**

— ჩვენს საწარმოში სამუშაო რიტმი მხოლოდ 10 აპრილს დაირღვა, ფაბრიკა არ მუშაობდა, ჩვენთან უმეტესობა ქალები არიან და ისინი იმ დღეს, გასაგები მიზეზების გამო, შინ იყვნენ თავიანთ შვილებთან ერთად. მერე მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა. ბოლო დღეებში სამუშაოზე თითქმის ყველა გამოვიდა. 17 აპრილს კი გამოცხადებამ წლიურ საშუალო მაჩვენებელსაც გადააჭარბა. თუ ჩვეულებრივ ეს მაჩვენებელია დღეში 390, 17 აპრილს დილიდანვე 405 მუშა-მოსამსახურე შეუდგა მუშაობას. დანაკარგის ასანაზღაურებლად გასული შაბათი სამუშაო დღედ გვქონდა გამოცხადებული.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

14 და 15 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, VII ტურის შეხვედრები.

თბილისის დინამოელებმა 15 აპრილს ვილნიუსში ითამაშეს „ჟალგირისთან". შეხვედრა დამთავრდა ვილნიუსელ ფეხბურთელთა გამარჯვებით, — 1:0, ეს ერთადერთი გოლი დინამოელთა კარში გაიტანა ბარანაუსკასმა.

ტურის დანარჩენ შეხვედრათა ანგარიშები ასეთია:

„ტორპედო" — „დნეპრი" 2:2

„როტორი" — „დინამო" მ 2:0

„ლოკომოტივი" — „არარატი" 1:0

„დინამო" კ. — „სპარტაკი" 1:4

„დინამო" მნ. — „შახტიორი" 1:1

„ზენიტი" — „პამირი" 1:0

„მეტალისტი" — „ჩერნომორეცი" 2:1

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი** ● მდგომარეობა 18 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 7 | 5 | 2 | 0 | 17-3 | 12 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 7 | 4 | 1 | 2 | 10-6 | 9 |
| „არარატი" (ერევანი) | 7 | 4 | 1 | 2 | 5-5 | 9 |
| „დინამო" (კიევი) | 7 | 3 | 3 | 1 | 12-7 | 9 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 7 | 3 | 2 | 2 | 9-10 | 8 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 7 | 3 | 1 | 3 | 7-7 | 7 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 7 | 3 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 7 | 2 | 3 | 2 | 4-4 | 7 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 7 | 1 | 5 | 1 | 5-4 | 7 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 6 |
| „დინამო" (თბილისი) | 6 | 1 | 4 | 1 | 6-6 | 6 |
| „დინამო" (მინსკი) | 7 | 2 | 1 | 4 | 10-12 | 5 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 6 | 2 | 1 | 3 | 2-6 | 5 |
| „როტორი" (ვოლგოგრადი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 5 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 7 | 1 | 2 | 4 | 3-7 | 4 |
| „პამირი" (დუშანბე) | 7 | 1 | 2 | 4 | 3-10 | 4 |

## ბრინჯაოს მედალი მრავალჭიდში

**ვოლგოგრადი.** საბჭოთა კავშირის თასი სპორტულ ტანვარჯიშში ვოროშილოვგრადელმა იგორ კორობჩინსკიმ მოიგო — 115,4 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა მოსკოველი ვიტალი მარინიჩი (114,65 ქულა). საქართველოს წარმომადგენელ ვლადიმერ გოგოლაძე მესამე იყო — 113,95.

19 წლის ვოროშილოვგრადელმა კორობჩინსკიმ ოქროს მედლები მოიპოვა სამ იარაღზეც — თავისუფალ ვარჯიშში (9,90 ქულა), ტაიჭსა (9,870 ქულა) და ორძელზე (9,80 ქულა). ორი უმაღლესი ჯილდო — [illegible] (9,80 ქულა) და ღერძზე ვარჯიშისთვის (9,90 ქულა) მოსკოველ ვიტალი მარინიჩს ხვდა. მეორე მოსკოველმა ვლადიმერ შეპოჩკინმა ბჯენითი ხტომები მოიგო (9.625 ქულა).

**სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**

## ლიდერებმა ქულები გაიყვეს

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**კიევი.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები, ადგილობრივი „სტროიტელი" და კაუნასის „ჟალგირისი". პ[illegible]ველი ბრძოლა მეტად მძაფრი და დაძაბული გამოდგა. ტაიმი მოიგეს სტუმრებმა 53:47, ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 101:101. დამატებით დროში მინიმალური სხვაობით გამარჯვება „ჟალგირისს" დარჩა — 108:107. მეორე დღეს უკრაინელმა კალათბურთელებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს — 113:88 (47:40).

**მოსკოვი.** დედაქალაქის დინამოელებმა და ტალინის „კალევმა" ქულები თანაბრად გაიყვეს. ერთი შეხვედრა ესტონელმა კალათბურთელებმა მოიგეს 86:81 (33:41), მეორე — „დინამომ" — 108:78 (62:34).

**ალმა-ათა.** ადგილობრივმა არმიელებმა ორჯერ დაამარცხეს ვილნიუსის „სტატიბა" 77:55 (37:25) და 92:72 (50:32).

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 17 აპრილისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ჟალგ." (კაუნ.) | 42 | 37 | 5 | 79 |
| „სტროიტ." (კ.) | 42 | 34 | 8 | 76 |
| ასკ (ალმა-ათა) | 42 | 28 | 14 | 70 |
| ცსკა | 39 | 26 | 13 | 65 |
| „დინამო" (მ.) | 42 | 23 | 19 | 65 |
| „სტატ." (ვილ.) | 44 | 20 | 24 | 64 |
| „კალევი" (ტალ.) | 42 | 20 | 22 | 62 |
| რტი (მინსკი) | 42 | 16 | 26 | 58 |
| „დინამო" (თბ.) | 38 | 17 | 21 | 55 |
| ვეფ (რიგა) | 43 | 10 | 33 | 53 |
| „შახტ." (დონ.) | 40 | 11 | 29 | 51 |
| „სპარტ." (ლენ.) | 42 | 7 | 35 | 49 |

## ფინიშზე ბრძოლა გამძაფრდა

**მინსკი (17 აპრილი, ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.).** თითქოსდა რა კარგად გვქონდა საქმე მე და ნათია ჯანჯღავას ორი ტურის წინ! 18 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში ჩემს უშუალო მეტოქეებს (მათ, ვინც 20 წლამდე ასაკის ქალთა მსოფლიო პირველობაში მონაწილეობისათვის იბრძვის) ერთი ქულით ვუსწრებდი, ჯანჯღავა კი ორი წლით უმცროსთა მსოფლიო პირველობის საგზურისთვის ბრძოლაში მთელი ქულანახევრით უსწრებდა თავის უშუალო კონკურენტ სვეტლანა კორკინას. ახლა კი, II ტურის შემდეგ 9 ქულა მაქვს და მხოლოდ ნახევარი ქულით ვარ წინ სვეტლანა მატვეევაზე. ჯანჯღავას კი კორკინა დაეწია და ისინი 7-7 ქულით III-IV ადგილებს იყოფენ. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს ანჯელა ბელაკოვსკაიამ და აინურ სოფიევამ, 6 — ფირუზა ველიხანლიმ, 5,5-5,5—ჰენრიეტა ლაგვილავამ და ტულიკი ლაესონმა, 4 — ლაიმა დომარკაიტემ, 3,5 — ალბინა იურევამ, 2,5-2,5 — სოფიკო ტერელაძემ, ჟანა შურმა და ტატიანა კიბრიკმა.

X ტურში ყურადღების ცენტრში იყო ჩემი და ნათია ჯანჯღავას შეხვედრა. გავითამაშეთ ჰოლანდიური დაცვა. თავიდანვე უკეთესი პოზიცია მივიღე — მეტი სივრცე მეპყრა დაფაზე. ნათია პასიურად იცავდა თავს. მე თანდათანობით გავძლიერე პოზიცია და ხარისხი მოვიგე. მალე, ლაზიერების გაცვლის შემდეგ, ჯანჯღავამ წინააღმდეგობა შეწყვიტა.

ლაგვილავა — დომარკაიტეს პარტიაში მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა, სადაც ნელ-ნელა გამოიკვეთა ქართველი ოსტატის უპირატესობა და გამარჯვებაც მას დარჩა. თუ გახსოვთ, ჰენრიეტას დიდი მატერიალური უპირატესობით ჰქონდა გადადებული პარტია ბელაკოვსკაიასთან. ლაგვილავამ ამ შეხვედრაშიც ქულა მოიპოვა.

მატვეევა — ტერელაძის პარტიაში თავიდან დაახლოებით თანაბარი პოზიცია იყო, მაგრამ მიტელშპილში მატვეევამ უკეთ ითამაშა, მოიგო პაიკი და მალე პარტიაც.

XI ტურში სწრაფად დაზავდნენ ტერელაძე და იურევა.

ჯანჯღავამ და ლაგვილავამ ტარაშის დაცვა გაითამაშეს. ნათიას მთელი შეხვედრის მანძილზე უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაშინაც კი, როცა მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მართალია, ჯანჯღავას მოფიქრებისთვის ცოტა დრო რჩებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ბრძოლა კიდევ შეიძლებოდა და მას უნდა ებრძოლა ქულის მოსაპოვებლად.

მე შავი ფიგურებით ველიხანლის ვხვდებოდი, ესპანურ პარტიაში მეტად დახურული პოზიცია შეიქმნა, მაგრამ ალარ გავამწვავეთ მდგომარეობა და უკვე მე-18 სვლაზე დავზავდით. სხვათა შორის, ყაიმზე რომ შევთანხმდით, ერთი პაიკიც კი არ გვქონდა გაცვლილი.

აი, ამ დანაკარგებმა შეგვირყიეს პოზიციები მე და ჯანჯღავას, თუმცა, ვარწმუნებთ ჩვენს თანამემამულეებს, საქართველოს ჭადრაკის მოყვარულთ, რომ ყველაფერს ვილონებთ მიზნის მისაღწევად.

X და XI ტურების სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: **X ტური:** იურევა — ლაესონი 0,5:0,5, შური — კორკინა 0:1, სოფიევა — ველიხანლი 0,5:0,5, კიბრიკი — ბელაკოვსკაია 0:1; **XI ტური:** ბელაკოვსკაია — მატვეევა 0:1, დომარკაიტე — კიბრიკი 1:0, კორკინა — სოფიევა 1:0, ლაესონი—შური 0:1.

რაც შეეხება 16 წლამდე ასაკის გოგონათა შესარჩევ ტურნირს, აქ შეჯიბრების დამთავრებამდე ერთადერთი ტურია დარჩენილი და სამწუხაროდ, სოფიკო ნიკოლაძე მეტად არასახარბიელო მდგომარეობაშია. იგი 4,5 ქულით III-IV ადგილებს იყოფს ოლგა იაშჩენკოსთან ერთად. 5 ქულით II ადგილზეა ეკატერინა კოვალევსკაია. შეჯიბრებას კი 5,5 ქულით ირინა ზაკი ლიდერობს. იულია ლევიტანს 4 ქულა აქვს, ზამირა აგაევას — 3,5.

ბოლოსწინა ტურში სოფიკომ ლევიტანთან წააგო. ქართველმა მოჭადრაკემ ვერაფერი მოუხერხა მინსკელ მეტოქეს — ორივე წრეში დამარცხდა მასთან. ბოლო ტურში ნიკოლაძე ზაკს ხვდება.

**ქეთევან კახიანი,**
**საერთაშორისო ოსტატი.**

### I ლიგა

განვლილ შაბათს შედგა I ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშების III ტურის შეხვედრები.

ქუთაისის „ტორპედოსა" და აბოვიანის „კოტაიკის" მატჩი, რომელიც აბოვიანში შედგა, დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო" (სტავროპოლი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:0, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 0:0, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 2:2, „დაუგავა" (რიგა) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:1, ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 0:1, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:0, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:1.

## ტრაგედია შეფილდის სტადიონზე

**უკვე** რამდენიმე წელია ინგლისის კლუბებს აუკრძალეს ევროპის საკლუბო ტურნირების გათამაშებებში მონაწილეობა ბრიუსელის „ეიზელის" სტადიონზე 1985 წელს მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, როცა ევროპის ჩემპიონთა თასზე ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის „ლივერპული" და იტალიის „იუვენტუსი". ინგლისელმა გულშემატკივრებმა ჩაიდინეს უპრეცედენტო საქციელი, რასაც მძიმე მსხვერპლი მოჰყვა. დახოცილთა და მძიმედ დაჭრილთა შორის უმეტესობა იტალიელი ფეხბურთის მოყვარულები იყვნენ. ინგლისელ გულშემატკივართა ამ ბოროტმოქმედების შედეგად ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა ინგლისის კლუბებს აუკრძალა საკონტინენტო ტურნირებში მონაწილეობა. საფეხბურთო სამყარომ უეფა-ს ხელმძღვანელობის ეს სანქცია სავსებით სწორად და კანონიერად მიიჩნია.

მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ინგლისის საფეხბურთო გამგებელნი არაერთხელ ცდილან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირიდან მიეღოთ ევროპის საკლუბო ტურნირებში ხელახლა დაშვების უფლება, წესრიგის დაცვისა და სიმშვიდის გარანტიაზე ისინი უკან არ იხევდნენ, „ეიზელის" სტადიონზე მომხდარ ტრაგედიას აღიარებდნენ როგორც სამწუხარო, მაგრამ გამონაკლის მოვლენას ინგლისური ფეხბურთის პრაქტიკაში.

სულ ახლახან ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ იმსჯელა ინგლისური კლუბების ევროპულ საკლუბო ტურნირებზე რეაბილიტაციის შესაძლებლობაზე და გადაწყვიტა დისკვალიფიცირებული კლუბები დაეშვა ამ შეჯიბრებებში.

უეფა-ს ამ გადაწყვეტილებამ სრულიად საპირისპირო რეაქციები გამოიწვია საფეხბურთო სამყაროში. ერთნი მოწონებით შეხვდნენ მას, მეორენი — ერთობ მკვეთრად და ნეგატიურად. ბრიუსელში ამჟამად „ეიზელის" კატასტროფის დამნაშავეთა სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, განაჩენი ჯერ არ გამოუტანიათ, ამიტომაც, ბუნებრივია, რეაქცია სხვადასხვაგვარი იყო. იტალიაში ახლაც არსებობს „ეიზელის" მსხვერპლთა ასოციაცია. გასაგებია, რომ ამ ორგანიზაციამ არ დააყოვნა თავისი აღშფოთება გამოეთქვა უეფა-ს გამგებელთა გადაწყვეტილებაზე. ასოციაციის პრეზიდენტმა ალბერტო ლორენტინიმ პროტესტი განაცხადა:

— ევროპის საფეხბურთო კავშირს შეეძლო ელემენტარული ტაქტი გამოეჩინა, თუნდაც ის, რომ ბრიუსელში ამჟამად მიმდინარეობს „ეიზელის" ბოროტმოქმედთა სასამართლო და პროცესის დამთავრებამდე შეიძლებოდა გადაწყვეტილების გამოტანაზე თავის შეკავება. ჩვენ შეურაცხყოფილნი ვართ.

სულ სხვა განწყობილება სუფევდა ინგლისში.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა კმაყოფილება გამოთქვა უეფა-ს გადაწყვეტილების გამო, რომლის ძალითაც ინგლისის გუნდებს კვლავ დაუშვებენ ევროპის საფეხბურთო ტურნირებზე: ეს ამბავი ახარებს მთელი ინგლისის საზოგადოებრიობას, მე ვუსურვებ ჩვენს გუნდებს წარმატებით გამოსულიყვნენ მომავალ შეჯიბრებებში, — თქვა მ. ტეტჩერმა პარლამენტში გამოსვლისას.

ერთი სიტყვით, საერთაშორისო საფეხბურთო სამყარო ღელავდა, ბობოქრობდა, მაგრამ მაინც შესამჩნევი იყო, რომ უმეტესობა მხარს უჭერდა ინგლისის კლუბების რეაბილიტაციას. ინგლისი ერთ-ერთი უპირველესი საფეხბურთო ქვეყანაა, მსოფლიოში ადრე თუ გვიან იგი კვლავ უნდა დაბრუნებოდა დიდ საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებას.

და, აი, როცა ინგლისელები მთელს ქვეყანას არწმუნებდნენ, რომ „ეიზელი" ეს პირველი და უკანასკნელი ტრაგედია გახლდათ, რომ მსგავსი რამ აღარ მოხდებოდა, უბედურება კვლავ გამეორდა და გამეორდა კიდევ უფრო დიდი, უფრო სოლიდური მასშტაბით, რომელმაც შეიწირა 108 ადამიანის სიცოცხლე, 200 დაჭრილია, 70 კაცი მოათავსეს საავადმყოფოში, 18 მათგანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ეს დაზუსტებული ციფრები მთელს მსოფლიოს მოედო, ბრიტანეთის სტადიონებზე მსგავსი რამ არ მომხდარა, ეს უკვე ინგლისელთა ეროვნული ტრაგედიაა.

განვლილ შაბათს შეფილდის „ჰილსბოროს" სტადიონზე მიმდინარეობდა ბრიტანეთის საფეხბურთო ასოციაციის თასის ნახევარფინალური. მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ პოპულარული გუნდები „ლივერპული" და „ნოტინგემ ფორესტი". მატჩი ფაქტიურად არ შემდგარა, ვინაიდან ფეხბურთელებმა სულ რაღაც 5 წუთი ითამაშეს და ტრაგედიაც მოხდა.

იმის თქმა, რომ ბრიტანეთში არ ებრძვიან ხულიგნობას და მოსალოდნელ ინციდენტებს, სწორი არ იქნებოდა. მეტოქე გუნდების გულშემატკივრებს იზოლირებულად ათავსებენ სხვადასხვა ტრიბუნაზე, რათა თავიდან აიცილონ მათ შორის მოსალოდნელი კონტაქტი. მაგრამ ლივერპულელთათვის განკუთვნილი ტრიბუნის შესასვლელთან რამდენიმე ათასმა უბილეთო გულშემატკივარმა მოიყარა თავი. ეს მასა უცებ მიაწვა სტადიონის კარებს, ჰულეტა რომ თავიდან აეცილებინა, პოლიცია იძულებული გახდა გაეღო კარები და ბრბო შეეშვა იმ სექტორებში, სადაც ფეხდგომელა უყურებენ თამაშს.

ადამიანთა მძლავრი ნაკადი გაემართა წინ, იგი ამსხვრევდა და მუსრავდა ყველაფერს, რაც კი გზაში დახვდებოდა, უკან მყოფნი აწვებოდნენ დაწინაურებულებს, ბევრი მათგანი მიაჭყლიტეს ლითონის ღობურას, რომელიც სათამაშო მინდორს ტრიბუნიდან ჰყოფს. თამაში შეჩერდა, დაწოლა რომ შეემცირებინათ. პოლიციელებმა გახსნეს ღობურას ყველა კარი, მაგრამ უკან მყოფნი კიდევ უფრო აძლიერებდნენ დაწოლას, ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. ადამიანები იღუპებოდნენ, სასწრაფო დახმარების მანქანები ვერ ასწრებდნენ მათ ევაკუაციას, შეფილდის „ჰილსბოროს" სტადიონზე არნახული ტრაგედია მოხდა, ამ ამაზრზენ სცენებს მთელი დღე აჩვენებდნენ ტელევიზიის სასწრაფო გადაცემებში.

მეორე დღეს, კვირას, შეფილდში ჩავიდნენ პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი და შინაგან საქმეთა მინისტრი დ. ჰერგი. მოელიან, რომ თემთა პალატის სხდომაზე დიდი დებატები გაჩაღდება. დეპუტატები მოითხოვენ პოლიციის მოქმედების სისწორის შემოწმებას ამ ექსტრემალურ სიტუაციაში. საარჩევნო ოლქის დეპუტატი, სადაც „ჰილსბოროს" სტადიონი მდებარეობს, მ. ფლემინი მოითხოვს საქმის დეტალურ განხილვას. დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელიზავეტა II და პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს, სადაც თანაგრძნობა გამოუცხადეს დაღუპულთა ოჯახებს და მოითხოვეს მომხდარი ამბის დეტალური გამოძიება. ცხადია, რომ შეფილდის ტრაგედიის მთავარი მიზეზია მატჩის ცუდი ორგანიზაცია. ლივერპულში, მაგალითად, ასეთივე რთულ მატჩში ამას წინათ 20 ათასი ბილეთით ნაკლები გაიყიდა, ვიდრე მსურველი იყო, შეფილდში კი სწორედ ამ ზედმეტმა ხალხმა გამოიწვია აუწერელი ჰულეტა და სასიკვდილო ექსცესები.

როცა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა ამას წინათ დისკვალიფიკაცია მოუხსნა ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილე ინგლისის კლუბებს, იქ ნათქვამი იყო, რომ ეს არ მოხდება თუ ინგლისურ ფეხბურთში დისციპლინა დამყარდება, თუ იქაური გულშემატკივრები წესიერად მოიქცევიან და ბრიტანეთის ხელისუფლება აქტიურად მხარს დაუჭერს წესრიგის დამყარებას, როგორც ხედავთ, არც ერთი ეს მოთხოვნა შესრულებული არ იქნა. ძველ ტრაგედიას ახალიც დაემატა.

### „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-15 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** დაშვებულია 1 826 706 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (36 ვარიანტი) მოგება 1 568 მანეთია, ოთხისთვის (2 811) — 29, სამისთვის (45342) — 3.

საქართველოში: 6-0, 5-0, 4-40, 3-934.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** დაშვებულია 19.169.202 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (28 ვარიანტი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (5562) — 163, სამისთვის (187 163) — 9.

საქართველოში: 5-0, 4-157, 3-4.844.

მე-15 ტირაჟების მოგებები გაიცემა 1989 წლის 24 აპრილიდან 24 მაისის ჩათვლით.

**გუშინწინ** შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-16 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 11 (ფრენბურთი), 25 (საციგაო სპორტი), 30 (ძალოსნობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 43 (ტურიზმი), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 25 (საციგაო სპორტი), 32 (ფიგურული ციგურაობა), 33 (ფეხბურთი).

# ახალი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

## ალპინიზმი

**სათანრიგო მოთხოვნები ქალებისა და ვაჟებისათვის.**

**სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი:**

განახორციელოს ზღვის დონიდან 8.000 მეტრიან მწვერვალზე ასვლა.

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი:**

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში დაიკავოს I-III ადგილები: 4 წლის განმავლობაში განახორციელოს ორ-ორი 6-ბ და 5-ბ კატეგორიის სიძნელის მწვერვალებზე ასვლა წყვილში და ამასთან I და II ჯგუფის შეჯიბრებებში დააგროვოს არაუმცირეს 10 ბალისა (ვაჟები).

განახორციელოს 6-ბ კატეგორიის სიძნელის მწვერვალზე ასვლა და 5, II ჯგუფის შეჯიბრებებში დააგროვოს არაუმცირეს 3 ქულისა (ქალები).

**შენიშვნა.** მარშრუტის პირველი გავლისას, მე-2 და მე-3 გავლისას, რომლებიც სსრ კავშირის ჩემპიონატებში მედლით აღინიშნება, ბალი ერთით იზრდება.

ასვლათა რაოდენობა და სირთულე:

**სპორტის ოსტატის კანდიდატი** — 6ა-1; 5ბ-2; 5აწ-1; 5ახ-1; 3-1ზ. (ვაჟები).

5ბ-3; 4ბხ-1; 2ბ-1ზ. (ქალები);

I თანრიგი — 5ა-2, 4ბ-2, 4აწ-2 (ვაჟები); 5ა-2, 4ბ-2 (ქალები);

**II თანრიგი** — 3ბ-ზე 3-3, 2-1;

**III თანრიგი** — 2ბ-1, 2-2.

**შენიშვნა:** 1. ხ. — ხელმძღვანელად, წ. — წყვილში, ზ. — ზამთრის, დ. — დამოუკიდებელი, უინსტრუქტოროდ.

2. სათანრიგო მოთხოვნები ჩაითვლება ერთ პუნქტში გაერთიანებულ მარშრუტებზე.

**სათანრიგო მოთხოვნების შესრულების პირობები:**

1. თანრიგის მისაკუთვნებლად ასვლა ჩაითვლება „ალპინიზმის წესების“ დაცვის პირობებით.

2. წოდებისა და თანრიგის მისაკუთვნებლად ჩაითვლება მხოლოდ „სსრ კავშირის მწვერვალთა საკლასიფიკაციო ცხრილში“ შეტანილი მწვერვალები.

3. სპორტის ოსტატის კანდიდატის თანრიგის მისანიჭებლად ჩაითვლება კომბინირებული მარშრუტი 5ბ კატეგორიის სიძნელისა და ზევით; I თანრიგი — 3 კომბინირებული მარშრუტი მე-4 კატეგორიის სიძნელისა და ზევით; II თანრიგი — 2 კომბინირებული მარშრუტი მე-3 კატეგორიის სიძნელისა.

4. ხელმძღვანელობის ჩასათვლელად ჯგუფში უნდა იყოს ორი და მეტი ჩაბმა.

5. უკვე გავლილი მარშრუტით დაპყრობილი მწვერვალი ასვლად არ მიიღება.

6. II და III ჯგუფის შეჯიბრების განსაზღვრა ხდება სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მიერ ყოველწლიურად შეჯიბრების ოქმებისა და მონაწილეთა ბარათების მიღების (არა უგვიანეს 15 ნოემბრისა) შემდეგ.

7. სპორტის ოსტატის კანდიდატის თანრიგის მისანიჭებლად მითითებულ ასვლებთან ერთად ვაჟებს უნდა ჰქონდეთ „მაშველი რაზმის“ ჟეტონი.

8. ასვლა, რომელიც ადრე ჩაითვალა რომელიმე თანრიგის მინიჭებისათვის, მომდევნო თანრიგის გასაფორმებლად ჩათვლაში არ მიიღება. მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულების ტრავერსი ჩაითვლება სათანრიგოდ.

9. თანრიგი ენიჭებათ 16 წლიდან.

10. სსრ კავშირის ჩემპიონატებში სპორტის ოსტატობის წოდება ენიჭებათ 1989 წლიდან.

### შეჯიბრებათა ჯგუფებად დაყოფა

I ჯგუფი. სსრ კავშირის ჩემპიონატი (საგუნდო ბალი განისაზღვრება შეჯიბრების წესებით).

II ჯგუფი. რესპუბლიკის, უწყებათა ჩემპიონატები, რომლებშიც გამოდის არაუმცირეს 5 გუნდისა თითოეულ კლასში (მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ სულ ცოტა სპორტის ოსტატობის კანდიდატის თანრიგი).

III ჯგუფი. შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობს I თანრიგოსანი (და ზევით) სპორტსმენები.

### თანრიგის დამოწმება

თანრიგის დასამოწმებლად მომდევნო ორი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს შემდეგი სირთულის ასვლები: სპორტის ოსტატის კანდიდატი — 5ბ. I თანრიგი — 5ა; II თანრიგი — 3ბ; III თანრიგი — 2ბ.

## აფროსნობა და საბუერო სპორტი

### სათანრიგო მოთხოვნები ვაჟები და ქალები

**სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი** (მესაჭე და მატროსი) — უნდა დაიკავოს:

I-VI ადგილები ოლიმპიურ თამაშებში;

I-V ადგილები მსოფლიო ჩემპიონატში;

I-IV ადგილები ევროპის ჩემპიონატში;

I-III ადგილები ღია საერთაშორისო რეგატაში მოცემულ კლასში არაუმცირეს 8 ქვეყნის ნავების მონაწილეობით;

I ადგილი იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე.

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი** (მესაჭე და მატროსი) — უნდა დაიკავოს 1-6 ადგილი (ვაჟები) და I-III ადგილები (ქალები) სსრ კავშირის ჩემპიონატში; I-VI ადგილი იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე;

I-IV ადგილები იუნიორთა ევრობის პირველობაზე;

I-III ადგილები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე;

I-V ადგილები სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, აჯობოს 3 მესაჭეს (ქალი);

I-II ადგილები სსრ კავშირის უფროსი ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა (16-18 წლის) შორის;

აჯობოს 4 სპორტის ოსტატ და 6 სპორტის ოსტატობის კანდიდატ მესაჭეს. საკავშირო და რესპუბლიკურ პირველობებზე, რომლებიც შედგება არა უმცირეს 6 რბოლისა და შევიდეს შეჯიბრებადამთავრებულ საუკეთესო ეკიპაჟთა საერთო რაოდენობის 20%-სა და ათეულში.

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი** (კაპიტანი და ერთი კაპიტნის თანაშემწე):

3-სერიიანი რბოლისაგან შემდგარ საკრეისერო იახტების საკავშირო შეჯიბრებაში აჯობოს 4 სპორტის ოსტატსა და 6 სპორტის ოსტატობის კანდიდატს, ჯამში არა უმცირეს 500 მილზე დისტანციაზე, შევიდეს შეჯიბრებადამთავრებულ საუკეთესო ეკიპაჟთა საერთო რაოდენობის 20%-სა და ათეულში.

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი (მესაჭე და მატროსი):**

მოიპოვოს გამარჯვება არაუმცირეს საოლქო მასშტაბის შეჯიბრებაში, რომელიც შედგება სულ ცოტა 5-სერიიანი რბოლისაგან, აჯობოს 8 სპორტის ოსტატობის კანდიდატ მესაჭეს და 8 პირველთანრიგოსან მესაჭეს.

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი** (იახტის კაპიტანი და კაპიტნის ერთი თანაშემწე):

მოიპოვოს გამარჯვება. საკრეისერო იახტების სულ ცოტა 3-სერიიან ჯამში 300 მილზე რბოლაში, აჯობოს სპორტის ოსტატობის კანდიდატს 4 კაპიტანსა და 6 პირველთანრიგოსან კაპიტანს.

**I თანრიგი** (მესამე და მატროსი):

მოიპოვოს გამარჯვება სულ ცოტა სამსერიიან რბოლაში 4 პირველთანრიგოსან მესაჭესა და 8 მეორეთანრიგოსან მესაჭესთან.

**I თანრიგი** (მესაჭე, იახტის კაპიტანი, მატროსი):

მოიპოვოს გამარჯვება 2 მეორეთანრიგოსან მესაჭესა და 5 მესამეთანრიგოსან მესაჭესთან ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში.

იმავე შეჯიბრებაში 7 მესამეთანრიგოსან მესაჭის მონაწილეობით დაიკავოს პირველი ადგილი.

**III თანრიგი** (მესაჭე, იახტის კაპიტანი, მატროსი):

მოიპოვოს გამარჯვება 2 მესამეთანრიგოსან მესაჭესთან ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში, რომელშიც გამოდის არაუმცირეს 5 იახტისა.

**I მოზარდთა თანრიგი** (მესაჭე, მატროსი):

ნებისმიერ შეჯიბრებაში მოიპოვოს გამარჯვება 2 მოზარდთა I თანრიგოსან 5 II მოზარდთა თანრიგოსან მესაჭეებთან, დაიკავოს ადგილი საუკეთესო შედეგის მქონე 50% შორის.

დაიკავოს I ადგილი ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში, რომელშიც გამოდის არაუმცირეს 7 მოზარდთა II თანრიგოსანი.

**II მოზარდთა თანრიგი:**

მოიპოვოს გამარჯვება მოზარდთა 2 მეორე და 3 მესამეთანრიგოსან მესაჭეებთან ნებისმიერ ასპარეზობაში 10 ნავის მონაწილეობით;

დაიკავოს I ადგილი ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში არაუმცირეს 7 მოზარდთა III თანრიგოსან მესაჭის მონაწილეობით.

**III მოზარდთა თანრიგი:**

მოიპოვოს გამარჯვება 2 მოზარდთა III თანრიგოსან მესაჭესთან ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;

დაიკავოს I ადგილი ნებისმიერ შეჯიბრებაში 7 ეკიპაჟის მონაწილეობით.

### სათანრიგო მოთხოვნათა შესრულების პირობები

1. თანრიგები მიეკუთვნება აფრიანი ნავებითა და ბუერებით შეჯიბრების შედეგების მიხედვით, რომელიც შედის „სპორტული აფრიანი ნავებისა და ბუერების საკავშირო კლასიფიკაციაში“.

2. სპორტის ოსტატობის, სპორტის ოსტატობის კანდიდატის და 1 თანრიგის სათანრიგო მოთხოვნათა შესასრულებლად, სხვადასხვა კლასის ნავებით და გადასხდომით რბოლების დისტანციათა სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ: შვერტბოტებისთვის — 5 საზღვაო მილი, აფრიანი ნავებისთვის (კილით) — 8 საზღვაო მილი, აფრიანი დაფებისთვის — 2 საზღვაო მილი, ბუერებისთვის — 8 კილომეტრი, საკრეისერო რბოლებში — სპორტული კლასიფიკაციის სათანრიგო მოთხოვნათა შესაბამისად.

3. მესაჭეებსა და მატროსებს წოდებები და თანრიგები მიენიჭებათ ერთდროულად. თუ შეჯიბრებაში მონაწილე მატროსი უთანრიგოა, მასზე გამარჯვება არ ჩაითვლება.

4. მესაჭეზე გამარჯვება ჩაითვლება იმ პირობით თუ იგი მოცემული შეჯიბრების რბოლათა 75%-ში მონაწილეობდა.

5. გამარჯვება „აფრიანი ფიცრით“ კლასში ჩაითვლება, თუ იგი მოპოვებულია მეტოქესთან, რომელსაც აქვს თანრიგი „აფრიანი ფიცრის“ კლასში.

6. ბუერების მატროსებს (მებაგირეებს) სათანრიგო მოთხოვნები ჩაბარებულად ჩაეთვლებათ, თუ ისინი მონაწილეობდნენ მოცემული შეჯიბრების რბოლების არაუმცირეს 50%-სა.

სპორტსმენებს მოზარდთა თანრიგები მიენიჭებათ 9-დან 16 წლამდე.

8. სპორტის ოსტატის წოდება ენიჭება II კლასის კვალიფიკაციის მესაჭეს.

### თანრიგების დამოწმება

2 წლის განმავლობაში შენი თანრიგის 2 სპორტსმენთან უნდა მოიპოვო გამარჯვება ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში, რომელიც შედგება სათანადო თანრიგის რბოლათა სერიისაგან.

### სათანრიგო მოთხოვნათა შესრულების პირობები:

1. თანრიგები მიეკუთვნება შეჯიბრებების შედეგების საფუძველზე და ნავებით შორეულ სპორტულ გაცურვებზე, რომლებიც შედის „სპორტული აფრიანი იახტებისა და ბუერების სსრ კავშირის კლასიფიკაციაში“.

2. შორეულ სპორტულ გაცურვებზე სათანრიგო მოთხოვნები შესრულებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ დაცულია სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის „იახტებით საკრეისერო რბოლის შორეული სპორტული გაცურვის ჩატარების ორგანიზაციის“ ინსტრუქციები.

3. კლასიკური და გადასაჯდომის ეკიპაჟების რბოლის სათანრიგო მოთხოვნების შესასრულებელი დისტანციების სიგრძე უნდა შეესაბამებოდეს საიფროსნო სპორტისა და იახტების კლასის შეჯიბრებების წესების მოთხოვნებს.

4. მესაჭეებსა და მატროსებს ერთდროულად ენიჭებათ თანრიგები.

5. სპორტის ოსტატ მესაჭეზე გამარჯვება ენიჭებათ იმ შემთხვევაში თუ ისინი მონაწილეობენ მოცემული შეჯიბრების ყველა ჩასათვლელ რბოლაში.

### თანრიგების დამოწმება

**იახტებით შორეული სპორტული გადაცურვები 2 წლის განმავლობაში უნდა დაგროვდეს არაუმცირეს 600 მილისა I თანრიგისათვის, 300 მილი II თანრიგისათვის, 100 — III თანრიგისათვის.**

(გაგრძელება იქნება)

## ჯ. აბაიშვილი



50 წლის ასაკში, ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახელოვანი სპორტის ოსტატი ჯემალ აბაიშვილი. იგი თბილისში დაიბადა 1938 წლის 22 დეკემბერს. მამა — ევგენი აბაიშვილი კალათბურთელთა მწვრთნელი, სპორტის დიდი ქომაგი და ენერგიული მუშაკი გახლდათ. სწორედ მან აზიარა პატარა ჯემალი დიდ სპორტს და როცა 50-იან წლებში ჩვენში ახალი სახეობა — ხელბურთი შემოვიდა, ჯემალმა საბოლოოდ მონახა თავისი ადგილი.

1956 წელს დაამთავრა თბილისის მე-7 საშუალო სკოლა. 1958 წელს იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ნიჭიერ ჭაბუკს იტაცებდა ზუსტი მეცნიერებები და ხატვა. მის მიერ შესრულებული მეგობრული შარჟები დიდი მოწონებით სარგებლობდა და სხვადასხვა გაზეთებში, მათ შორის „ლელოში“, იბეჭდებოდა. ჯემალის ნაშრომი „მინი-ხელბურთი“ და მეთოდური წიგნი „ცოტა რამ მეკარეზე“ ავტორის მრავალმხრივი ნიჭის დასტურია.

მოგვიანებით ჯ. აბაიშვილმა დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი და სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება სპორტს. 1958 წლიდან იგი თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდის წევრია. მერე ბავშვთა ჯგუფების წვრთნასაც მოჰკიდა ხელი. სხვადასხვა წლებში ჯემალი გახლდათ თბილისის არმიის სპორტკლუბის მწვრთნელი, საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ხელბურთსა და რეგბიში, მშობლიური „ბურევესტნიკის“ ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპორტული სკოლის დირექტორი. — ჯემალ აბაიშვილი სკკპ პარტიის წევრი იყო 1968 წლიდან.

ჯ. აბაიშვილის მთელი ცხოვრება ხელბურთი გახლდათ, მის დიდოსტატურად აღებულ ბურთებზე მოდის ბურევესტნიკელთა სახელოვანი გამარჯვებების გარკვეული წილი. 13 წელიწადს იყო დაკავშირებული დიდ ხელბურთთან, როგორც მეკარე. 1962 და 1964 წლებში გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, იყო მრავალგზის პრიზიორი, ქვეყნის ნაკრების გუნდის წევრი, 1964 წელს ჩეხოსლოვაკიის, შემდეგ კი 1967 წელს შვეიცარიის მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე. 1964 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იგი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელეს. 1987 წელს ჯ. აბაიშვილს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიენიჭა. 1983 წლიდან ჯემალ აბაიშვილი მუშაობდა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალურ სასპორტო სკოლაში განყოფილების უფროსად.

შესანიშნავი სპორტსმენის, აღმზრდელის, უანგარო ადამიანის ხსოვნა მარად დარჩება მათ გულებში, ვინც ამ შესანიშნავ პიროვნებას იცნობდა.

**საქართველოს სპორტსახკომი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია.**

## მიჩიგანის უნივერსიტეტის წარმატება

**მრავალსაფეხურიანია** ამერიკის კალათბურთელ სტუდენტთა ჩემპიონატი. მის კულმინაციურ წერტილს წარმოადგენს ოთხთა ტურნირი, რომელსაც წლეულს სიეტლი მასპინძლობდა. გადამწყვეტ მატჩებში გამოდიოდნენ: დიუკეს, მიჩიგანის, ილინოისის და სეტონ-ჰოლის უნივერსიტეტის გუნდები. მიმომხილველთა უმრავლესობა ფავორიტად დიუკეს უნივერსიტეტის გუნდს მიიჩნევდა.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: დიუკე-სეტონ-ჰოლი, მიჩიგანი-ილინოისი. პირველი წყვილის შეხვედრა სენსაციური შედეგით აღინიშნა. ფავორიტი დიუკე დამარცხდა და ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლას გამოეთიშა, თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ დიუკეს წარუმატებლობა ძნელი საფიქრელი იყო. მან ტაიმი მოიგო — 38:33. შესვენების შემდეგ უპირატესობას სეტონ-ჰოლის გუნდი დაეუფლა, რასაც მიმომხილველები ორი გარემოებით ხსნიან: დაცვაში მისი ჩინებული თამაშით და ავსტრალიელ ენდრიუ გაზას (20 ქულა) სნაიპერული სროლებით, მატჩის ბოლოს სეტონ-ჰოლის უპირატესობა საკმაოდ სოლიდური იყო — 95:78. დანი ფერის (34 ქულა) ჩინებულმა თამაშმა ამჯერად დიუკეს ვერაფერი უშველა.

მეორე ნახევარფინალური მატჩი უფრო უკომპრომისო ხასიათს ატარებდა და ეს მის შედეგსაც ეტყობა. პირველი ტაიმი მიჩიგანელებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს — 39:38. როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ანგარიში კვლავ საყაიმო იყო — 74:74, უკანასკნელ წამებზე გახდა 81:81. ბრძოლის დამთავრებამდე ორი წამით ადრე კი გლენ რაისის ზუსტმა სროლამ გამარჯვება მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდს მოუტანა — 83:81.

ფინალში სეტონ-ჰოულის უნივერსიტეტის გასვლა ნკაა-ს ჩემპიონატის ერთ-ერთი დიდი სენსაცია იყო. ორივე გუნდმა ამ მატჩში ლამაზი და მაღალტექნიკური კალათბურთი უჩვენა. ქულა ქულას მისდევდა და ტაიმის ბოლოს ხუთი ქულით წინ გავიდა მიჩიგანის უნივერსიტეტი — 37:32. უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმი და სეტონ-ჰოლის გუნდმა მორტონის ჩინებული თამაშის წყალობით შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. მატჩის დამთავრებამდე 17 წამით ადრე მისი ტყორცნის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 71:71. დაინიშნა დამატებითი დრო. მატჩის დამთავრებამდე ორი წამით ადრე წინ იყო სეტონ-ჰოლის უნივერსიტეტის გუნდი — 79:78, მაგრამ მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდის წევრს რობინსონს ჰეშმარიტად რკინის ნერვები აღმოაჩნდა და თამაშის დამთავრებამდე ორი წამით ადრე ზუსტად ტყორცნა ორი საჯარიმო სროლა, რომელმაც მიჩიგანელებს გამარჯვება და მასთან ერთად სტუდენტთა შორის ჩემპიონის წოდება მოუტანა.

**მერაბ კალანდაძე.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე**

ინდექსი 66425. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის ქ. 29. უე 07158